ჩვენ შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად სუჰური მივირთვით, შემდეგ ის დილის ლოცვის სალოცავად წამოდგა, მე ვკითხე: რა დრო იყო სუჰურსა და აზანს შორის? თქვა: «ორმოცდაათი აიათის წაკითხვის დრო

გადმოცემულია ზაიდ იბნ სააბითისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ჩვენ შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად სუჰური მივირთვით, შემდეგ ის დილის ლოცვის სალოცავად წამოდგა, მე ვკითხე: რა დრო იყო სუჰურსა და აზანს შორის? თქვა: «ორმოცდაათი აიათის წაკითხვის დრო».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ზოგიერთმა საჰაბამ (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად მიირთვეს სუჰური, შემდეგ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დილის ლოცვის სალოცავად ადგა. ანასმა ჰკითხა ზაიდ იბნ სააბითს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რა პერიოდი იყო აზანსა და სუჰურის შეწყვეტას შორის გასული? ზაიდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) უპასუხა: საშუალო სიგრძის ორმოცდაათი აიათის წაკითხვის პერიოდი, არც გრძელი აიათები და არც მოკლე, არც სწრაფად წაკითხული და არც ძალიან ნელა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4457